



შპს „ევროპულ სკოლაში“ აღსაზრდელოთა/მოსწავლეთა მიღებისა და ჩარიცხვის პოლიტიკა

გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური

მომზადებულია: მიღების ადმინისტრირების, მარკეტინგისა და კომუნიკაციის
სამსახურის მიერ

მომზადების თარიღი: 2015 წელი, სექტემბერი

ბოლო გადახედვის თარიღი: 2024 წელი, სექტემბერი

სოფიო ბაზაძე

დირექტორი



ჩვენი მისია

„ევროპული სკოლა“ მოსწავლეებსა და აღსაზრდელებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია „ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. „ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

ჩვენ ვიღწვით, რათა:

- შეექმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
- განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მამძიებლების ჩამოყალიბებას.

მოსწავლეთა მიღება-ჩარიცხვის მიზანი

შპს „ევროპული სკოლა“ (შემდგომში - სკოლა) არის ინოვაციური, ინკლუზიური, საერთაშორისო განათლების წამყვანი წარმომადგენელი, სკოლამდელი აღზრდის ასაკიდან დაწყებული მე-12 კლასის ჩათვლით მოსწავლეთათვის. სკოლა ეფუძნება ინკლუზიური გარემოს შექმნას, გამოწვევებსა და წარმატების მიღწევის მიზანს ყველა მოსწავლისათვის, მსოფლიო მოქალაქეებისა და დამოუკიდებელი მოსწავლეების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

სკოლაში სწავლის თითოეულ მსურველს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს და ინგლისურენოვან მოსწავლეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა და პირობები ისწავლონ სკოლაში.

სკოლის მოსწავლეები ერთობლივად აღწევენ საუკეთესო შედეგს მათ მიერ განხორციელებული წვლილის დაფასებისა და სწავლის პროცესში მიზანდასახული სვლით. ისინი, სწავლის განმავლობაში განიცდიან აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ წარმატებებს.

იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა არის ინკლუზიური, სასწავლო პროცესი არის ინტენსიური, მომთხოვნი და გამოწვევებით სავსე. ყოველივე აღნიშნული კი მოითხოვს მაღალი დონის მოტივაციასა და მზაობას თითოეული მოსწავლისაგან.

სკოლის მიღებისა და ჩარიცხვის სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს პირველ რგოლს იმ სხვადასხვა უნიკალური გამოცდილების მიღების პროცესში, რაც ელოდება სკოლის თითოეულ მოსწავლეს. სამსახურის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა ოჯახების გათვითცნობიერება სკოლის მისიასა და საქმიანობის მიზნებთან, ფილოსოფიასა და სასკოლო საზოგადოებასთან დაკავშირებით. ამასთან, სამსახური უზრუნველყოფს სკოლაში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოსწავლეთა წარმომადგენლებისათვის საბაზისო ინფორმაციის მიწოდებას.

სკოლის მიღებისა და ჩარიცხვის სამსახურში:

- ვუზრუნველყოფთ საუკეთესო მომსახურებასა და კვალიფიციური დახმარების გაწევას;
- ვუზრუნველყოფთ, რომ მოსწავლეებმა და მათმა წარმომადგენლებმა თავი იგრძნონ კომფორტულად;
- ხელს ვუწყობთ პოტენციური მოსწავლეების ჩარიცხვისა და ადაპტაციის პროცესის გავლას, დროული და კვალიფიციური ინფორმაციის / რჩევების გაცემის საფუძველზე;
- ვინარჩუნებთ ურთიერთობას მოსწავლეებთან, მშობლებთან და სკოლის საზოგადოების წარმომადგენლებთან;
- ვიცავთ სკოლის ერთიანობას მოსწავლეებისთვის თანაბარი შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, სამართლიანი მოთხოვნების დაწესებითა და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების გზით;
- ვახდენთ ახალი მოსწავლეების ჩარიცხვის სტრატეგიების შემუშავებას;
- ვუზრუნველყოფთ სკოლის საზოგადოებისათვის სკოლის მისიის გაცნობას;
- მხარი ვუჭერთ და ვძლიერებთ ყველა შესაძლებლობას, სკოლაში მიღება-ჩარიცხვის პროცესის წახალისებისათვის.

მუხლი 1. პოლიტიკის მოქმედების სფერო

1. ეს პოლიტიკა არეგულირებს სკოლის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში (შემდგომში - საბავშვო ბაღი) აღსაზრდელებისა და სკოლის სასწავლო პროგრამებზე მოსწავლეების ჩარიცხვის, სხვა სკოლებიდან მოსწავლეების მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლეების სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებულ რიგ პროცედურულ საკითხებს.
2. ამ პოლიტიკით დადგენილი მოთხოვნების დაცვა აუცილებელია მოსწავლის/აღსაზრდელის სკოლასა და საბავშვო ბაღში ჩასარიცხად.
3. სკოლა უზრუნველყოფს, რომ სკოლაში მიღებასთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ითვალისწინებდეს, აქცენტს აკეთებდეს მათ განვითარებაზე, უსაფრთხოებასა და განათლების უფლებაზე.

მუხლი 2. მიღების პროცედურა საბავშვო ბაღში

1. საბავშვო ბაღი გათვალისწინებულია მზრუნველ, ოჯახზე ორიენტირებულ და ამასთან, აკადემიურად გაწერილ პროგრამას 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. კვალიფიციური პედაგოგები ხელს უწყობენ აღსაზრდელების სოციალური და საგანმანათლებლო განვითარებისათვის ხელშეწყობას.
2. იმ აღსაზრდელებს, რომელთა ოჯახის წევრები ირიცხებიან სკოლაში, მიღების პროცესში მიენიჭებათ უპირატესობა.
3. საბავშვო ბაღში აღსაზრდელის მისაღებად, კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა შეავსოს სკოლის მიერ დადგენილი აპლიკაციის ფორმა ელექტრონული ან მატერიალური ფორმით. აპლიკაციის შევსებული ფორმის წარმოდგენის და ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდის შემდეგ, აღსაზრდელი ჩაეწერება მომლოდინეთა სიაში (იმ შემთხვევაში თუ აპლიკაციის წარმოდგენის მომენტში საბავშვო ბაღში არ არის თავისუფალი ადგილი აღსაზრდელის ჩასარიცხად), ადგილის გათავისუფლების შემდგომ ინფორმაცია მიეწოდება აღსაზრდელის წარმომადგენელს.
4. საბავშვო ბაღში აღსაზრდელის მისაღებად, კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
 - 4.1. აღსაზრდელის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/პასპორტი ან სხვა) ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული);
 - 4.2. აღსაზრდელის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის ან სხვა) ასლები (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული);
 - 4.3. ჯანმრთელობის ცნობა / ფორმა N 100 ან ჯანმრთელობის დამადასტურებელი სხვა საბუთი იმ ქვეყნიდან, საიდანაც ჩამოვიდა აღსაზრდელი;
 - 4.4. აღსაზრდელის ფოტო 3X4.
5. სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნის შემდეგ, აღსაზრდელის კანონიერი წარმომადგენელი ერთჯერადად იხდის განაცხადის განხილვის საფასურს, კერძოდ, 100 (ასი) ევროს ექვივალენტს ლარში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საბავშვო ბაღში არ/ვერ ჩარიცხვის შემთხვევაში, განაცხადის განხილვის საფასურის თანხა არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას. გადახდილი განაცხადის განხილვის საფასურის გათვალისწინება სააღმზრდელო მომსახურების/სწავლის ღირებულებაში არ ხდება.

მუხლი 3. სკოლის სასწავლო პროგრამები

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ სასწავლო პროგრამებს: ა) ქართული პროგრამა; ბ) საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამები (დაწყებითი (PYP), საშუალო, კარიერული განვითარების (CP) სადპლომო (DP) პროგრამები; გ) ამერიკული უმაღლესი სკოლის (ASAS) პროგრამა.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ პროგრამებზე ჩასარიცხად სკოლა აწესებს განსხვავებულ კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილებაც სავალდებულოა.

მუხლი 4. სკოლის შესახებ ინფორმაციის გაცნობა

1. სკოლაში ჩარიცხვის მსურველები უკავშირდებიან სკოლის მიღებისა და ჩარიცხვის სამსახურს, რომელიც დაინტერესებულ პირებს ამომწურავად აცნობს სკოლის შესახებ ინფორმაციას, პროგრამებს და სკოლაში მიღების ეტაპებს.
2. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლაში ვიზიტის ორგანიზება და შესაბამისი პროგრამის კოორდინატორთან შეხვედრა.

მუხლი 5. სკოლაში მიღების ეტაპები

სკოლაში მოსწავლეთა მიღების პროცესი შეიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. ელექტრონული სააპლიკაციო ფორმის შევსება;
2. სკოლის მიერ სააპლიკაციო ფორმის განხილვა და მოსწავლესთან გასაუბრება;
3. შესაბამისი დოკუმენტაციის სკოლისათვის წარდგენის შემდგომ მოსწავლის ჩარიცხვა.

მუხლი 6. მოსწავლის სკოლაში ჩასარიცხად განაცხადის წარდგენის ზოგადი წესი

1. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის სურვილის შემთხვევაში, მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა შეავსოს სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.europeanschool.ge - ზე განთავსებული ელექტრონული სააპლიკაციო ფორმებიდან ერთ-ერთი, სასურველი პროგრამის შესაბამისად.
2. იმ შემთხვევაში, თუ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სურს მოსწავლის ჩარიცხვა:
 - ა) ქართულ პროგრამაზე, იგი ავსებს სააპლიკაციო ფორმას სახელწოდებით - ქართული პროგრამა;
 - ბ) საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამაზე, იგი ავსებს სააპლიკაციო ფორმას სახელწოდებით - საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის სააპლიკაციო ფორმა (IB programme application form);
 - გ) ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამაზე, იგი ავსებს სააპლიკაციო ფორმას სახელწოდებით - ამერიკული უმაღლესი სკოლის სააპლიკაციო ფორმა (ASAS application form).
3. მოსწავლის სკოლაში მიღება, ასევე, შესაძლოა მოხდეს სკოლის ოფიციალურ საიტზე განთავსებული შესაბამისი სააპლიკაციო ფორმის სკოლაში შევსების შემთხვევაში.
4. სააპლიკაციო ფორმაში უნდა მიეთითოს:

- ა) მოსწავლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი (პირადი ნომრის არ არსებობის შემთხვევაში პასპორტის ნომერი), დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, სქესი, ფაქტობრივი მისამართი;
 - ბ) მოსწავლის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სახელი და გვარი, პირადი ნომერი (პირადი ნომრის არ არსებობის შემთხვევაში პასპორტის ნომერი), მოქალაქეობა, რეგისტრაციის და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, სამუშაო ადგილი (არსებობის შემთხვევაში);
 - გ) ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).
 - დ) იმ პირთა სია, რომელთაც ექნებათ შესაძლებლობა, მოსწავლე გაიყვანონ სკოლის ტერიტორიიდან;
 - ე) სკოლის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.
5. სააპლიკაციო ფორმის განხილვისათვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა ერთჯერადად უნდა გადაიხადოს თითოეული წარდგენილი განაცხადის განხილვის საფასური - ქართული პროგრამისათვის - 150 (ას ორმოცდაათი) ევროს ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად; საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) და ამერიკული უმაღლესი სკოლის (ASAS) პროგრამებისთვის - 250 (ორას ორმოცდაათი) ევროს ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად; განაცხადის განხილვის საფასურის არ შედის სწავლის საფასურში და სკოლაში პირის ჩარიცხვაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 7. სააპლიკაციო ფორმის განხილვა და მოსწავლის შეფასება

1. სამსახური განიხილავს შემოსულ სააპლიკაციო ფორმებს და ორგანიზებას უკეთებს მოსწავლის გასაუბრებას შესაბამის კოორდინატორთან/ფსიქოლოგთან.
2. პირველ კლასში ჩარიცხვის მსურველის შემთხვევაში ხდება ბავშვის ფსიქოლოგიური მზაობის შემოწმება.
3. სკოლის საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის (IB DP) მე-11 კლასში და ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამაზე მისაღებად სწავლის მსურველმა კანდიდატმა უნდა გაიაროს ტესტირება ინგლისურ ენაში, ხოლო საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამაზე მისაღებად ასევე გაიაროს ტესტი მათემატიკაში.
4. ტესტირების შედეგების გათვალისწინებით, სკოლა უფლებას იტოვებს საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის (IB DP) მე-11 კლასში და ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამაზე არ მიიღოს მოსწავლე, თუ მის მიერ ინგლისური ენის/მათემატიკის ცოდნის დონე არ შეესაბამება პროგრამის მიერ დაწესებულ სტანდარტებს.

ქართული და საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამებზე მოსწავლის ჩარიცხვა

მუხლი 8. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა ქართულ ან საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამებზე

1. ქართულ ან საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამაზე, პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ბავშვს სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით უნდა უსრულდებოდეს 6 წელი. ამასთანავე, პირი, რომელსაც 6 წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 31 დეკემბრის

ჩათვლით უსრულდება, უფლებამოსილია მშობლის გადაწყვეტილებით ნებაყოფლობით დაიწყოს სწავლა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე.“

2. პირველ კლასში ჩასარიცხად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში უნდა მოხდეს პირის რეგისტრაცია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, რის შემდეგაც მშობელმა სკოლის მიერ დადგენილ ვადებში წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სკოლას. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) ბავშვის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის ან სხვა) ასლი;
 - ბ) მოსწავლის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის ან სხვა) ასლები;
 - გ) მოსწავლის 2 ფოტო (3X4).
 - დ) მოსწავლის ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა N100), ან ჯანმრთელობის დამადასტურებელი სხვა საბუთი იმ ქვეყნიდან, რომელშიც მოსწავლე ცხოვრობდა;
 - ე) ბავშვის საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის (ბინადრობის ნებართვა/მოწმობა ან სხვა) ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში));
 - ვ) მშობლის საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის (ბინადრობის ნებართვა/მოწმობა ან სხვა) ასლი ((უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში)).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი.
4. სააპლიკაციო განაცხადის განხილვის, ფსიქოლოგთან გასაუბრების შედეგად ბავშვის სასკოლო მზაობის დადგენისა და ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სკოლა იღებს გადაწყვეტილება პირის პირველ კლასში ჩარიცხვის საკითხზე. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება და გამოიცემა სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე.
5. თითოეულ მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია და ჩარიცხვის ბრძანება სასწავლო წლის დაწყებამდე აისახება მოსწავლეთა მონაცემთა ბაზაში (school.emis.ge).
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული ვადისგან განსხვავებულ ვადაში პირის პირველ კლასში რეგისტრაციის/ჩარიცხვის მიზნით, საჭიროა შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ნებართვა, რომლის მოპოვებასაც უზრუნველყოფს სკოლა. შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ნებართვის საფუძველზე, სკოლა გამოსცემს პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ ბრძანებას, ხოლო ჩარიცხული მოსწავლის შესახებ მონაცემებს და ჩარიცხვის ბრძანებას ასახავს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (school.emis.ge), ასევე ხსნის მოსწავლის პირად საქმეს.

მუხლი 9. II-XII კლასის მოსწავლის მობილობის წესით ჩარიცხვა ქართულ პროგრამაზე

1. იმ მოსწავლის სკოლაში მისაღებად, რომელიც სწავლობდა სხვა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მშობელი ავსებს სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულ შესაბამის სააპლიკაციო

ფორმას, რომელშიც უთითებს ყველა იმ რეკვიზიტს, რომელიც ჩამოთვლილია ამ პოლიტიკის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში, ასევე მატერიალური ფორმით წარმოადგენს სკოლის მიერ დადგენილი ფორმის შევსებულ განაცხადს.

2. სააპლიკაციო ფორმის შევსებისას/მატერიალური ფორმით განაცხადის წარმოდგენისას მშობელი უთითებს, თუ რომელი სკოლიდან გადმოდის მოსწავლე, რომელ კლასში ირიცხება იგი მობილობის დროისათვის, ასევე სკოლის მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას.
3. სააპლიკაციო ფორმის განხილვის შემდეგ ხდება გასაუბრების ორგანიზება შესაბამისი პროგრამის კოორდინატორთან. გასაუბრების დროს მოწმდება მოსწავლის ზოგადი ცოდნა და უნარ-ჩვევები.
4. გასაუბრების გავლის შემდეგ, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება/მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება და სკოლა აგზავნის მობილობის მოთხოვნას იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც ირიცხება მოსწავლე.
5. მოსწავლის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემთხვევაში, სკოლის დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე.

მუხლი 9¹. II-XII კლასის მოსწავლის მობილობის წესით ჩარიცხვა საერთაშორისო პროგრამაზე

1. იმ მოსწავლის სკოლაში მისაღებად, რომელიც სწავლობდა სხვა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მშობელი ავსებს სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულ შესაბამის სააპლიკაციო ფორმას, რომელშიც უთითებს ყველა იმ რეკვიზიტს, რომელიც ჩამოთვლილია ამ პოლიტიკის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში, ასევე მატერიალური ფორმით წარმოადგენს სკოლის მიერ დადგენილი ფორმის შევსებულ განაცხადს.
2. სააპლიკაციო ფორმის შევსებისას/მატერიალური ფორმით განაცხადის წარმოდგენისას მშობელი უთითებს, თუ რომელი სკოლიდან გადმოდის მოსწავლე, რომელ კლასში ირიცხება იგი მობილობის დროისათვის, ასევე სკოლის მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას.
3. სააპლიკაციო ფორმის განხილვის შემდეგ ხდება გასაუბრების ორგანიზება შესაბამისი პროგრამის კოორდინატორთან. გასაუბრების დროს მოწმდება მოსწავლის ზოგადი ცოდნა და უნარ-ჩვევები.
4. გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება/მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება და სკოლა აგზავნის მობილობის მოთხოვნას იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც ირიცხება მოსწავლე.
5. მოსწავლის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემთხვევაში, სკოლის დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე.

მუხლი 10. მობილობის შეზღუდვა

1. სკოლაში მოსწავლეთა მიღება მობილობით ხდება მთელი წლის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადებისა, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის ფარგლებში.
2. მობილობა შეზღუდულია ქვემოთმოცემულ ვადებში და დამატებით შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობაა საჭირო მოსწავლეთა მობილობისთვის შემდეგ ვადებში:
 - ა) კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე;

- ბ) სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
- გ) მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას;
- დ) ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი კლასის მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სწავლა დაიწყეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 7¹ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასწავლო წლის დაწყების თარიღზე (შემდგომში – სასწავლო წლის დაწყების თარიღი) გვიან. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მობილობის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირველი კლასის მოსწავლეებზე, რომლებმაც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი შეუსრულდათ სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით და სწავლობენ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც სწავლა დაიწყეს სასწავლო წლის დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
3. მობილობის გზით მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე მშობლის განცხადების საფუძველზე, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსცენტრისაგან განსხვავებულ ვადებში მობილობაზე თანხმობის მოპოვებას.
 4. საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობის შემდეგ სკოლა მიმართავს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას მოსწავლეთა მონაცემთა ბაზაში (school.emis.ge) მობილობის პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამა

მუხლი 11. მოსწავლის ჩარიცხვა ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამაზე

1. ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამაზე მიღებისათვის მოსწავლის მინიმალური ასაკია 11 წელი.
2. ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამაზე სწავლა ხორციელდება VI-დან XII კლასის ჩათვლით.
3. ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამაზე მოსწავლის მისაღებად აუცილებელია, რომ მის მიერ ინგლისური ენის ცოდნის დონე შეესაბამებოდეს სკოლის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს.
4. ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამაზე მოსწავლის სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს შინ სწავლების რეჟიმით, საქართველოს კანონმდებლობისა და ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

მუხლი 12. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი

1. იმ პირის სკოლაში ჩარიცხვის მიზნით, რომელსაც უცხოეთში აქვს მიღებული ზოგადი განათლება, შესაბამისი პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პირველ რიგში მიმართავს სკოლას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის შესახებ დასკვნის შედგენის/გაცემის მოთხოვნით.
2. მოსწავლის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის დადგენის მოთხოვნას თან უნდა დაერთოს:

- ა) ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული ნიშნების ფურცლის ასლი, რომელიც იმ სკოლის მიერაა შედგენილი, რომელშიც მოსწავლე უცხოეთში სწავლობდა;
- ბ) მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლი (უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის შემთხვევაში მისი ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული ასლი);
- გ) მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის/ბინადრობის მოწმობა, პასპორტი ან სხვა) (უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის შემთხვევაში მისი ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული ასლი);
- დ) უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ნიშნების ფურცელი ან/და სხვა) (ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული სახით).
3. მომართვის შემდგომ სკოლა ადგენს უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობის დასკვნას, რომელსაც მშობელი წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების მოთხოვნის განცხადებასთან ერთად.
4. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სკოლა უფლებამოსილია, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე უზრუნველყოს პირის შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობა. აღნიშნულ მომართვას უნდა ერთვოდეს უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განცხადების წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა.
5. მოსწავლე სკოლის შესაბამის კლასში ირიცხება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების დოკუმენტში მითითებული საფუძვლის შესაბამისად. სკოლის მიერ გამოცემული ჩარიცხვის შესახებ ბრძანება აისახება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge). განსხვავებული საგნები, რომლებთან შესაბამისობაც ვერ დადგინდა, მოსწავლემ უნდა დაძლიოს ექსტერნატის ფორმით ან სკოლის მიერ შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.
6. იმ შემთხვევაში, თუ განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტიდან არ ირკვევა, თუ რომელ კლასში აქვს პირს მიღებული განათლება, იგი ირიცხება ასაკის შესაბამის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში უფრო დაბალ კლასში. სკოლის მიერ გამოცემული ჩარიცხვის შესახებ ბრძანება აისახება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge).

მოსწავლის კლასებში გადანაწილება

მუხლი 13. მოსწავლეების კლასებში განაწილება

- ერთ კლასში შესაძლოა ირიცხებოდეს არაუმეტეს 23 მოსწავლისა.
- მოსწავლეთა პარალელურ კლასებში გადანაწილება ხდება სკოლაში ოპტიმალური სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ინიციატივით/გადაწყვეტილებით ან მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. სკოლის

ინიციატივის/გადაწყვეტილების შემთხვევაში, მშობლებს აქვთ თავიანთი მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობა, თუმცა ისინი არ იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ პარალელურ კლასში იქნება მათი შვილი განაწილებული.

3. პარალელურ კლასში მოსწავლის გადაყვანა/პროგრამის ცვლილება ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.
4. იმ საკითხს, თუ ვინ იქნება თითოეული კლასის დამრიგებელი, წყვეტს სკოლის დირექტორი.

მუხლი 14. მოსწავლის ინტეგრირება

1. ჩარიცხული მოსწავლის ინტეგრირებისათვის სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს. მათ შორის უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამების მოხედვით მონიტორინგს, თუ როგორ შეეგუა ახალ გარემოს მოსწავლე.
2. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მიღებულ იქნას გადაწყვეტილება მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანის შესახებ.
3. მოსწავლის ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვის და გარემო პირობებთან ადაპტაციაში ხელშეწყობისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებისათვის სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური.
4. მოსწავლეთა სწავლების ხელშეწყობისათვის სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი.

მუხლი 15. საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის, მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სტუმრის სტატუსი

სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს დაესწროს საგაკვეთილო პროცესს ოფიციალურად სკოლაში ჩარიცხვამდე, მშობლის სურვილით, შემდეგ შემთხვევებში:

1. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენამდე და სკოლაში ჩარიცხვამდე;
2. საქართველოს სკოლებიდან მობილობის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებამდე და სკოლაში ჩარიცხვამდე;
3. პროგრამის ცვლილების შემთხვევაში, სკოლაში ჩარიცხვამდე.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

1. ეს პოლიტიკა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.
2. ამ პოლიტიკაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელება შესაძლებელია სკოლის დირექტორის ბრძანებით.